

ქართული ანიმაციური ფილმები ლონისძიების ორგანიზება

მომზადდა რუსუდან თაყაიშვილმა

მოსწავლეები ორგანიზებას უწყვენ ნანახი ანიმაციური ფილმების მიხედვით შექმნილი ნამუშევრების გამოფენას. აქტივობაზე [ქართული ანიმაციური ფილმები](#), ანიმაციური ფილმიდან „მეფე და ჩიტი“ სიმღერის შთაბეჭდილებით შექმნილ ნახატებს [ქართული ანიმაციური ფილმები](#) ემატება ანიმაციების ნახვის შემდეგ შექმნილი ნამუშევრები. გარდა ამისა, ლონისძიებაზე დაიგეგმება მოსწავლეთა მიერ გახმოვანებული ანიმაციის ჩვენება [ქართული ანიმაციური ფილმები](#)

მასწავლებლის ხელმძღვანელობით მოსწავლეთა ფოკუს ჯგუფი განსაზღვრავს პროექტის ზოგად ნიშნულებს: სად, რა სახით, რა გარემოში ჩატარდეს გამოფენა. ამის შემდეგ კენჭისყრით ნაწილდებიან ჯგუფებად, რომელთაგან თითოეული სრულადაა პასუხისმგებელი შემდეგ საქმიანობაზე¹:

1. სივრცის, ადგილმდებარეობის შერჩევა და მისი მომზადება
2. ადმინისტრაციასთან, მუნიციპალიტეტთან ურთიერთობა და სტუმრების მოწვევა
3. ნამუშევრების მომზადება გამოფენისათვის
4. ექსპოზიციის შექმნა
5. ლონისძიების აუდიო მიმართულებაზე პასუხისმგებლობა: სურვილის მიხედვით, მუსიკალური ფონის დაგეგმვა (სავარაუდოდ, ანიმაციური ფილმებიდან) და ტექნიკური განხორციელება
6. ლონისძიების მსვლელობის დაგეგმვა და გაძღოლა², საზოგადოებასთან ურთიერთობა

თითოეულ საკითხზე მომუშავე ჯგუფი, მისი სამუშაოს მიმდინარეობის შესაბამისად, წარუდგენს კლასს მოკლე შუალედურ პრეზენტაციას. მათი ვალდებულების მიხედვით განიხილავენ და შეათანხმებენ ერთმანეთთან. სასურველია, ჩაატარონ გენერალური რეპეტიცია.

გამოფენის შემდეგ შეფასდება თითოეული ჯგუფის მიერ შესრულებული დავალება/სამუშაო. განიხილება საერთო მხატვრული შთაბეჭდილება.

¹ მცირეკონტიგენტიან სკოლებში განაწილება მასწავლებლის გადაწყვეტილების მიხედვით მოხდება

² შესაძლოა, მასშტაბების გაფართოება, მაგალითად, ანიმაციური ფილმების პერსონაჟების განსახიერება, რომელიმე ფილმის ჩვენების ორგანიზება